დანართი 1

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;

კომპეტენციები:
-საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
-კადრის განვითარების, შეფასების და მოტივირების უნარი;
-ცვლილებებისა და სიახლეების ინიცირების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი;
- პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.
-შეხვედრის წარმართვის და საჯარო გამოსვლის უნარი;
-საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი;
-გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
-კომპლექსური აზროვნების უნარი;

ფუნქციები:
- გეგმავს სამსახურის საქმიანობას პრიორიტეტების გათვალისწინებით;
- წარმართავს და აკონტროლებს გეგმის მიხედვით დასახული ამოცანების შესრულებას;
-სამსახურისათვის დაკისრებული ვალდებულებების დროულად და ეფექტურად შესრულების მიზნით, ორგანიზებას უწევს მის დაქვებდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს და აძლევს მათ სათანადო ინსტრუქციებს;
- გადაწყვეტილებას იღებს მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების შეფასებაზე, წახალისებაზე, განვითარებაზე, მოტივაციაზე და დისციპლინური ღონისძიებების ინიცირებაზე;
- ითანხმებს და პასუხემგობლობას იღებს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ პროექტებზე, დასკვნებზე და წარმოების მასალებზე.
- აფიქსირებს სტრუქტურული ერთეულის პოზიციას იმ საკითხებზე, რომლებზეც გადაწყვეტილებას იღებს საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობა;
-ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებას;
- ასრულებს ხელმძღვანელის მიერ კომპეტენციის ფარგლებში გაცემულ დავალებას.

I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალური დაცვის საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- საქართველოს კანონი ,,სოციალური დახმარების შესახებ“.

კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
-დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
-გუნდურად მუშაობის უნარი;
-დროის ეფექტურად მართვის უნარი;
-კრიტიკული აზროვნების უნარი;
-ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
-საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენების უნარი;
-პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

ფუნქციები:
-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებისათვის ერთჯერადი და მიზნობრივი პროგრამების პროექტების შემუშავება;
-დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებისათვის სოციალური პრობლემების დარეგულირების ხელშეწყობა;
-თვითმმართველი ერთეულის კომპეტენციას მიკუთვნებული სოციალური საკითხების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახმარებული კონტიგენტის აღრიცხვის ორგანიზება;
-შემოსული კორესპონდენციის მიხედვით დოკუმენტაციის შეგროვება და შესაბამისი კომისიისათვის განსახილველად წარდგენა;
-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;
-ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა;
-დავალების შესრულების პროცესში, ოპტიმალური ვარიანტის შერჩვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
-შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან/და თანამშრომლის მოვალეობის შესრულება;
-ხელმძღვანელის მიერ კომპეტანციის ფარგლებში გაცემული დავალების შესრულება;

I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- საქართველოს კანონი ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
-ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
-გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
-დროის ეფექტიანი მართვის უნარი;
-კომპლექსური აზროვნების უნარი;
- ცვლილებების ინიციირების უნარი;
-პრობლემების ანალიზის უნარი;
-კომფლიქტების მართვის უნარი;
- სიზუსტისა და დეტალებზე ორიენტირებულობის უნარი;

ფუნქციები:
- მონაწილეობს მიზნობრივი პროგრამების შემუშავების პროცესში, განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;
-ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულის უფროსს საქმიანობის წარმართვასა და ორგანიზებაში;
-დავალების შესრულების პროცესში არჩევს ოპტიმალურ ვარიანტს და გადაწყვეტილებას უთანხმებს უშუალო ხელმძღვანელს;
-შემოსული კორესპონდენციის შესაბამისად აგროვებს დოკუმენტაციას და განსახილველად წარუდგენს შესაბამის კომისიას;
-განიხილავს შემოსულ კორესპონდენციას და პასუხისმგებლობას იღებს საპასუხო წერილების პროექტების მომზადებაზე;
-ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის პრობლემების დარეგულირებას , არსებული პროგრამების მიხედვით;
-შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ასრულებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის მოვალეობას;
-ასრულებს ხელმძღვანელის მიერ კომპეტანციის ფარგლებში გაცემულ დავალებას.

II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იგპ საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- საქართველოს კანონი ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“.

კომპეტენციები:
-საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
-დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
-გუნდურად მუშაობის უნარი;
-დროის ეფექტურად მართვის უნარი;
-კრიტიკული აზროვნების უნარი;
-ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
-პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი;
სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობის უნარი;

ფუნქციები:
-იგპ ოჯახებისათვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და დამტკიცებული პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილთა, ეკომიგრანტთა და მიუსაფართა შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იგპ და ეკომიგრანტთა ოჯახების ჯანდაცვითი და სოციალური პრობლემების დარეგულირების ხელშეწყობა;
-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მიუსაფარი ოჯახების აღრიცხვა და მათთვის დროებითი საცხოვრებელი ფართის მოძიებაში ხელშეწყობა;

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ეკომიგრანტების აღრიცხვა, შესაბამის სამისტროსთან მიწოდების მიზნით, მათთვის დოკუმენტაციის მომზადებაში ხელშეწყობა;
-კორესპოდენციის განხილვა და მათი საპასუხო წერილის პროექტის მომზადება;
-შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, იგივე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის მოვალეობის შესრულება;
-მოთხოვნის შესაბამისად, იგპ და ეკომიგრანტთა შესახებ ანგარიშების მომზადება;
-ხელმძღვანელის მიერ კომპეტანციის ფარგლებში გაცემული დავალების შესრულება.

II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვეტერანთა და შრომის საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- საქართველოს კანონი ,,ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“.

კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
-დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
-გუნდურად მუშაობის უნარი;
-დროის ეფექტურად მართვის უნარი;
-კრიტიკული აზროვნების უნარი;
-ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
-საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენების უნარი;
-პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

ფუნქციები:
-ომის ვეტერანთა დახმარებისათვის მუნიციპალური პროგრამის პროექტის შემუშავება და დამტკიცებული პროგრამის განხორციელება;
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და ომში დაღუპულის ოჯახის წევრებისათვის გამარჯვების დღის აღსანიშნავი ღონისძიების მომზადება;
- ომის ვეტერანთა და მათთან გათანაბრებულ პირთა კანონიერი უფლებებისა და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
-ვეტერანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
-კორესპონდეციის მიღება და მათზე რეაგირება;
-დავალების შესრულების პროცესში ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და გადაწყვეტილების უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმება;
-შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე იგივე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის მოვალეობის შესრულება;
-ხელმძღვანელის მიერ კომპეტანციის ფარგლებში გაცემული დავალების შესრულება.

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ინკლუზიური განვითარების საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- საქართველოს კანონი ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების შესახებ“;

- გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების კონვეცია“.

კომპეტენციები:
-ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
-გუნდური მუშაობა;
-დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
-შიდა კომუნიკაციის დაგეგმვა და წარმართვა;
-ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
-დროის ეფექტურად მართვის უნარი;
-კრიტიკული აზროვნების უნარი;
-მოლაპარაკებების წარმართვა;
-საჯაროდ გამოსვლა;
-სტრესის ზემოქმედების ქვეშ მუშაობა;
-პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი;

ფუნქციები:
-უზრუნველყოფს ინკლუზიური განვითარების მიმართულებით მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების და შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე ზრუნვის საკითხების მომზადებას;
- ხელს უწყობს შშმ პირებს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის საჭირო უნარ-ჩვეზების გამომუშავებაში.
- უზრუნველყობს შშმ პირთათვის სხვადასხვა სახის კულტურულ-სპორტული, შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების ორგანიზებას;
- თანაშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით;
- ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;
- მონაწილეობას იღებს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საკორდინაციო საბჭოს სხდომებში და ასრულებს მდივნის ფუნქციას;
- ასრულებს სამსახურის უფროსის, სხვა ხელმძღვანელი პირის ერთჯერად დავალებებს;
- განიხილავს კორესპონდეციებს და ამზადებს საპასუხო წერილის პროექტებს;
- ასრულებს ხელმძღვანელის მიერ კომპეტანციის ფარგლებში გაცემულ დავალებებს.

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი -
ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;

-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია.

კომპეტენციები:
- საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- კადრის განვითარების, შეფასების და მოტივირების უნარი ;
- ეფექტური კომუნიკაციის და მოლაპარაკების უნარი;
- კომპლექსური აზროვნების უნარი;
- პრობლემების გადაჭრისა და კომფლიქტების მართვის უნარი;
- გუნდური და დამოუკიდებელი მუშობის უნარი;
- შეხვედრის წარმართვის და საჯარო გამოსვლის უნარი;

ფუნქციები:
- სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მართვა, კოორდინაცია და ზედამხედველობა;
-შემოსული განცხადების/ინფორმაციის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ბავშვის და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ ბავშვის მდგომარეობის შესწავლისა და სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის შემუშავების ვალდებულების განსაზღვრა;
- საქმის წარმოებაში ბავშვის ფსიქოლოგის, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტის ჩართვა;
- ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, ჩაღრმავებული (მეორადი) შეფასების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, მასში შესაბამისი მოწვეული სპეციალისტის/ექსპერტის მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ სკრინინგის, პირველადი ან ჩაღრმავებული შეფასების საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- ინსპექტორის მიერ გეგმიური კონტროლის ორგანიზების, მომზადებისა და ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; (საქართველოს მთავრობის მიერ ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ დამტკიცების შემდეგ);
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს სამართალდარღვევის ოქმის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოსთან გაგზავნას. (საქართველოს მთავრობის მიერ ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ დამტკიცების შემდეგ).

I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია.

კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპლექსური აზროვნება;
- დროის ეფექტიანი მართვა;
- ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
- სამართალტექნიკის უნარი;

ფუნქციები:
- განყოფილების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბავშვის/ოჯახის სამართლებრივი კონსულტირება;
- განყოფილების უფროსის გადაწყვეტილების პროექტების მომზადება, მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დავალებების შესრულება, შემოსულ წერილებზე და განცხადებებზე შესაბამისი რეაგირება, პასუხების მომზადება;
- სამსახურის უფროსის/განყოფილების უფროსის გადაწყვეტილებით სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება.

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სოციალური მუშაკი

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია.

კომპეტენციები:
- გუნდური მუშაობა;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საკუთარი საქმის დაგეგმვის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
- დროის ეფექტური მართვა.

ფუნქციები:
- ახორციელებს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას ბავშვისა და ოჯახის საჭიროებათა და ზიანის რისკის შეფასების სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით.
- შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით დადგენილი მომსახურებებისადმი ბავშვის ხელმისაწვდომობას;

- კოორდინაციას უწევს სამოქმედო გეგმის აღსრულების პროცესს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებაზე უფლებამოსილ სუბიექტებთან თანამშრომლობით;
- საქმის წარმოების ერთიანი სისტემის გამოყენებით მონიტორინგს უწევს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების პროცესს და ადგენს ანგარიშს;
- საგანმანათლებლო-აღმზრდელობით, კულტურისა და სასპორტო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ გაერთანებებთან და სხვა ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებების თაობაზე.
- შეფასების საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე, ხელს უწყობს ბავშვიანი ოჯახების ჩართვას მუნიციპალურ პროგრამებში.

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- ბავშვის ფსიქოლოგი

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია.

კომპეტენციები:
- გუნდური მუშაობა;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- საკუთარი საქმის დაგეგმვის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარი;
- დროის ეფექტური მართვა.

ფუნქციები:
- ბავშვის ფსიქოლოგი ადგენს ბავშვის მენტალურ ჯანმრთელობას, სწავლობს მის ქცევას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის უფლებების დაცვისა და მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ახდენს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/ კონსულტირებას;
- ახდენს პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, საფრთხის პრევენციისა და რისკების თავიდან აცილების მიზნით.

III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ბავშვის დაცვის ინსპექტორი

პროფესიული ცოდნა:
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“
- საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“;

- საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“;
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;
-ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის დებულება;
- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია.

კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის უნარი;
- გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- დროის ეფექტური მართვია უნარი;
- კომპლექსური აზროვნების უნარი;
- საქმის დაგეგმის და ორგანიზების უნარი;
- პრობლემების გადაჭრისა და კომფლიქტების მართვის უნარი.

ფუნქციები:
- საჯარო სივრცეში ბავშვის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ბავშვის ჯგუფური ტრანსპორტირების წესების და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირების (ღონისძიების ორგანიზატორი) მიერ საკუთარი ვალდებულებების დაცვაზე ზედამხედველობა,საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის შემცველი ბეჭდური მედიის გავრცელების წესების დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- საჯარო კინოჩვენებებზე და ღამის კლუბებში ბავშვის დაშვების წესების დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- ჩაწერილ ფილმებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივ შეზღუდვების დაცვაზე ზედამხედველობა,საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების, ალკოჰოლის შემცველი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფსულების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ,,ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“ შესაბამისად;
- ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭრის განყოფილების მულტიდისციპლინარული ჯგუფის ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა;
- სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების (დასაქმების) ხელშეწყობა.